21/07/2025

არგენტინაში სიყვარულის, ოჯახისა და ერთგულების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

15 ივლისს, ბუენოს-აირესში (არგენტინა), მარიანო მორენოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა სადღესასწაულო კონცერტს სახელწოდებით „სამშობლო ოჯახიდან იწყება“, რომელიც სიყვარულის, ოჯახისა და ერთგულების დღეს მიეძღვნა; რუსეთში ის 8 ივლისს აღინიშნება – ქორწინების მფარველთა, წმინდა კეთილმორწმუნეთა პეტრე და ფებრონია მურომელების ხსენების დღეს.

სადღესასწაულო საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ახალგაზრდული ორგანიზაცია „ფენიქსი“, რუსული სახლი ბუენოს-აირესში და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არგენტინის ეპარქია.

ღონისძიების დასაწყისში აუდიტორიას სიტყვით მიმართეს არგენტინის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს მრჩეველ-წარგზავნილმა პ.ა. ზვარზინმა და არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსმა ლეონიდემ, – იტყობინება ეპარქიის ტელეგრამ-არხი.

მთავარეპისკოპოსმა სტუმრებს დღესასწაულთან დაკავშირებით შეახსენა მოსკოვისა და

სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, კირილეს სიტყვები: „ოჯახი საზოგადოების საყრდენია, მისი კეთილდღეობისა და სულიერი სიჯანსაღის საწინდარია: სწორედ ოჯახში იწყებს ადამიანი, შინაურების ზრუნვით გარშემორტყმული, თავისი გარემომცველი სამყაროს შეცნობას, იღებს ზნეობრივ აღზრდას და კეთილი საქმეების პირველ უნარებს“.

„ბევრი ივიწყებს და, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ოჯახის შექმნის მთავარი მიზანი სიყვარულით ხსნაა, – განაგრძო ეპისკოპოსმა ლეონიდემ. – მაგრამ არა ეგოისტური და მომთხოვნი სიყვარულით, არამედ მსხვერპლშეწირვითი, თავდადებითი, თავგანწირვით, ურთიერთგაგებითი და ერთმანეთზე მზრუნველობითი სიყვარულით. ასეთი ოჯახური გემი არ შეიძლება დაიმსხვრეს, ყოფითი ბობოქარი ზღვის რარიგ ძლიერი ტალღებიც არ უნდა დააცხრეს მას“. იერარქმა ყველა დამსწრეს უსურვა „წმინდა კეთილმორწმუნე მთავარ პეტრესა და კეთილმორწმუნე მთავრინა ფებრონიას ლოცვებით ძლიერი ოჯახური ბედნიერება და კეთილდღეობა, მშვიდობა, სიკეთე და სიყვარული“.

შემდეგ სცენაზე გამოვიდნენ არგენტინის, რუსი თანამემამულეების და სომხეთისა და ინდოეთის დიასპორების წარმომადგენლების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.

დიდი ხნის ტრადიციის თანახმად, სიყვარულის, ოჯახისა და ერთგულების დღესთან დაკავშირებით, პატივი მიაგეს 25 წელზე მეტი ხნის ქორწინებაში მყოფ ოჯახებს. ბუენოს-აირესის რუსული სახლის დირექტორმა დ.ი. ოიუნმა ორ ოჯახურ წყვილს გადასცა მედლები „სიყვარულისა და ერთგულებისთვის“.

სადღესასწაულო კონცერტს ასევე ესწრებოდნენ: არგენტინის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რელიგიების რეგისტრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის გენერალური დირექტორი ხორხე დანიელ სტოკლანდი; ბუენოს-აირესის მუნიციპალიტეტის რელიგიურ საკითხებში წარმომადგენელი მარია ალეხანდრა ფუერტეს ვეგა; არგენტინაში რუსი თანამემამულეების ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიო საკოორდინაციო საბჭოს წევრი, კინორეჟისორი სილვანა იარმოლიუკ-სტროგანოვა; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის (МГИМО) ესპანური ენის კათედრის გამგე გ.ა. გორენკო; არგენტინის ეპარქიის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი ოლეგ მოკრიაკი; ქალაქ ლანუსში მდებარე რუსეთის მიწის ყოველთა წმინდანთა ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ნიკოლოზ გედეში; რუსი თანამემამულეების კულტურული კლუბების პრეზიდენტები, საზოგადოების წარმომადგენლები, ტაძრების მრევლი და არგენტინის დედაქალაქის მაცხოვრებლები.

ღონისძიების დასასრულს კონცერტის ყველა მონაწილის შესრულებით ოჯახისადმი

День

С семьи

НАЧИНАЕТСЯ РОД

mospat.ru/ge